IG DEVELOPMENT

შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია
IG Development Georgia LLC

№IG - 0462

06.06.23 თარიღი

შპს ,,თბილისი ენერჯის"

ს/კ 205129617

ტექნიკურ დირექტორს: ბ–ნ გიგლა თამაზაშვილს

შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას"

ს/კ 404851503

დირექტორის: ბ–ნ ლევან მესხელის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, გვაცნობოთ ჩვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ქვეშ – მდებარე ქ.თბილისი, ი.ვეკუას N1 (ს.კ N 01.11.12.023.022) გადის თუ არა თქვენს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული გაზსადენის ქსელი/მილი. ამასთან, დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მოგვწეროთ გამავალი ქსელის/მილის ტექნიკური მახასიათებლები: მათ შორის, დიამეტრი, სიგრძე, რაოდენობა და სხვ.

გთხოვთ, ადგილზე მოხვიდეთ და გადაამოწმოთ ტერიტორია.

წინამდებარე განცხადებაზე თანდართულია ტერიტორიის ამსახველი საკადასტრო გეგმა.

პატივისცემით,

შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას"

დირექტორი: ლევან მესხელი

მისამართი - თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №70, მე-17 სართული, ბიზნესცენტრი "სითი თაუერი"
Address - 17 Floor, №70 Vazha-Pshavela Ave. 0186, Tbilisi, Business Centre "City Tower"
საიდენტიფიკაციო კოდი/ID - 404851503
IG Development Georgia/ID - 404851503
Tel: (+995) 32 2 200 010
E-mail: info@igdevelopment.ge

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-37365-23
21 / 06 / 2023

შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“-ს დირექტორს
ბატონ ლევან მესხელს


ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 7 ივნისის №02-13-37365-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ი. ვეკუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.11.12.023.022) გაზსადენის მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი მილსადენები არ გადის (იხ. დანართი).

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:1,400
D= 160 PE
D= 50 PE
D= 50
D= 40
D= 70
ჩ
დ
ა
ს
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.11.12.023.022
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01222231166**
თარიღი: **11/08/2022**

ადრესატი: შპს აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404851503
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ. კოსტავას ქ., №47/57 ქალაქ თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70, მე-17 სართული, ბიზნეს ცენტრი "სითი თაუერი"

ბატონო ლევან,

შპს „თბილსერვის ჯგუფში“ 2022 წლის 5 აგვისტოს შემოსული 10-01222162405-62, წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ, მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ს საკუთრებაში არსებული ტერიტორია ს.კ. 01.11.12.023.019 გაირკვა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება ქ. თბილისის მუნიცეპალიტეტის კუთვნილებაში არსებული სანიაღვრე ქსელი d=1000მმ, რომელიც ფუნქციონირებს და შესაბამისად მისი გაუქმება დაუშვებელია.

რაც შეეხება არსებული სანიაღვრე ქსელის d=1000მმ გადატანას, აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებელი პროექტის შედგენა უნდა მოხდეს კომპეტენტურ საპროექტო სამსახურის მიერ. საჭიროების შემთხვევაში სანიაღვრე დეპარტამენტის წარმომადგენლები ადგილზე გაგიწევენ შესაბამის კონსულტაციებს

ბესარიონ ქემოკლიძე

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

FORMULA

www.formulagas.com

შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას დირექტორს, ბ-ნ ლევან მესხელს,

ბ-ნო ლევან,

თქვენი 03.08.2022 წლის წერილის პასუხად, რომელიც ითვალისწინებს თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.12.023.019-ზე მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენ საკუთრებაში არსებული მილის გადატანაზე პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანია თანახმაა განახორციელოთ თანდართულ პროექტზე წარმოდგენილი სამუშაოები ისე, რომ აღნიშნული მშენებლობა არ დააზიანებს და საფრთხეს არ შეუქმნის ჩვენს საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნული მილსადენით ბუნებრივი გაზით მომარაგებას, მის სიმძლავრესა და მთლიანობას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მილის გადატანისთვის უნდა მომზადდეს პროექტი, რომელიც დამატებით უნდა შეთანხმდეს როგორც სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე ჩვენთან. აღნიშნული მილის პროექტი და მისი შემდგომი მშენებლობა არ უნდა არღვევდეს მილსადენის დღევანდელ წარმადობას და ექსპლუატაციის წესებს. ასევე, სრულად უნდა იქნას დაფარული ის ზიანი, რომელიც მიადგება შპს ფორმულას აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, მათ შორის ბუნებრივი გაზის დანაკარგი; სამომავლოდ არ უნდა შეუზღუდოს მილსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა როგორც თქვენს მიერ სამუშაოების ჩატარებისას, ასევე მილსადენის შესაძლო გადატანისა და შენობის დასრულების შემდგომ.

პატივისცემით,
შპს ფორმულას დირექტორი ლევან ხელაძე

08.08.2022

თბილისი, 0162 საქართველო, ჭავჭავაძის გამზ. 78 ტელ.: +995 32 243 00 11 email: office@formulagas.com

ქ.თბილისი

04 აგვისტო 2022 წ.

შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას''

(ს/კ 404851503)

დირექტორს: ბ-ნ ლევან მესხელს

შპს ,,Gogas გოუგაზის"

ს/კ 200190603

დირექტორის: ზაქარია ტატიაშვილის

(პ/ნ 36001006584)


პ ო ზ ი ც ი ა

ბ-ნ ლევან,

თქვენი 2022 წლის 3 აგვისტოს წერილის NIG-0271 პასუხად გაცნობებთ, რომ შპს ,,Gogas გოუგაზი" თანახმაა შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ'' მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე, ქ.თბილისი, ი.ვეკუას N1, ს/კ 01.11.12.023.019 განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები. ამასთან შპს ,,Gogas გოუგაზი" თანახმაა, შპს ,,აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ" უზრუნველყოს ჩვენს საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელის გადატანა მისი ტერიტორიის (ს/კ 01.11.12.023.019) წითელი ხაზებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.

შპს ,,Gogas გოუგაზის'' დირექტორი: ზაქარია ტატიაშვილი

GO GAZ



ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელი

სატრანზიტო სისტემა (საბიაღვრე ქსელი)

მომსახურების ხელშეკრულება: №01/010623

ქ.თბილისი

1 ივნისი 2023წ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია" (ს/კ 404851503),** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან მესხელის (პ/ნ 01008030756)** მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე, შემდეგში წოდებული როგორც **„დამკვეთი"**

და

მეორეს მხრივ **შპს „არსი" , (საიდენტიფიკაციო კოდი: 426523791, იურიდიული მისამართი : საქართველო, ქ. თბილისი, საქართველო, გარდაბანი, ს. დიდი ლილო)** წარმოდგენილი მისი დირექტორის **თეიმურაზ არსოშვილის (პ/ნ 12001013940)** მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების საფუძველზე, შემდგომში წოდებული როგორც **„შემსრულებელი"** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

თითოეული მხარე მოხსენიებულია როგორც **„მხარე"** , ხოლო ერთობლივად **„მხარეები"**

ვინაიდან, შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" საკუთრებაშია ქ. თბილისში, ი.ვეკუას №1–ში (საკადასტრო კოდი: 01.11.12.023.022) მდებარე მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობი: 22507.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობა ,,სითი მოლი გლდანი" და მისი მიზანია გააფორმოს ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის და შენობა–ნაგებობის ქვეშ გამავალი ხაზობრივი ნაგებობების, მათ შორის და არამხოლოდ წყალსადენ–წყალანირების სისტემების, სანიაღვრე ქსელის სისტემების, გაზსადენის ქსელების/მილების (შემდგომში ,,ხაზობრივი ნაგებობები") გადატანა–რეკონსტრუქციას რომელიც მათ შორის და არამხოლოდ მოიცავს ,,ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის თაობაზე პროექტების შედგენას, მის შეთანხმებას ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეებთან და შესაბამის მარეგულირებლებთან, გადატანის სამუშაოების თაობაზე შესაბამისი ნებართვების აღებას და ,,ხაზობრივი ნაგებობების" მიწის ნაკვეთიდან გადატანის სამუშაოების შესრულებას იმგვარად, რომ შემდგომში დანიშნულებისამებრ მოხდეს გადატანილი ხაზობრივი ნაგებობების ექსპლუატაცია და უსაფრთხოდ მოხდეს დამკვეთის მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების ექსპლუატაცია.

ვინაიდან, შპს „არსი" აცხადებს და ადასტურებს, რომ მას გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება და სრული კვალიფიკაცია, რათა შეასრულოს **დამკვეთის** მიერ მოთხოვნილი სამუშაო და აღნიშნულის ფარგლებში მოახდინოს დამკვეთის მიწის ნაკვეთის და მისი შენობა–ნაგებობის ქვეშ გამავალი ხაზობრივი ნაგებობების, მათ შორის წყალსადენ–წყალანირების სისტემების, სანიაღვრე ქსელის სისტემების, გაზსადენის ქსელების/მილების გადატანა–რეკონსტრუქციის სრული ციკლის სამუშაოების შესრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით და მასთან შესაბამისობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები ურთიერთშეთანხმების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას №01/010623 მომსახურების გაწევის შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება") და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.
2. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს დამკვეთის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მდებარე, ქ. თბილისში, ი.ვეკუას №1–ში (საკადასტრო კოდი: 01.11.12.023.022 დაზუსტებული ფართობი: 22507.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობის ,,სითი მოლი გლდანი" ქვეშ გამავალი ხაზობრივი ნაგებობების, მათ შორის და არამხოლოდ წყალსადენ–წყალანირების სისტემების, სანიაღვრე ქსელის სისტემების, გაზსადენის ქსელების/მილების (შემდგომში **„ხაზობრივი ნაგებობები"**) გადატანა–რეკონსტრუქციის პროექტირების, პროექტის შეთანხმების და

„ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის სამუშაოები (შემდგომში როგორც ერთობლივად ისე ცალ–ცალკე „სამუშაო"/„სამუშაოები") საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით და მასთან შესაბამისობაში, შემდეგი რიგითობის დაცვით:

2.1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, მათ შორის სამშენებლო და სანიტარული ნორმების დაცვით ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ქვეშ გამავალი მიწისქვეშა ქსელები, მათ შორის და არამხოლოდ, წყალანირების კოლექტორების და წყალსადენის ქსელების, სანიაღვრე ქსელის სისტემების, გაზსადენის ქსელების/მილების გადატანა–რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულების და შესაბამის ორგანოებთან/პირებთან შეთანხმების მიზნით უზრუნველყოს „ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის სამუშაოების პროექტირება, აღნიშნული ქსელების გადატანისთვის საჭირო შესაბამისი სატრანსპორტო და საპატრულო სქემების შედგენა, (შემდგომში „პროექტები"), წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით შედგენილი „პროექტების" (მათ შორის სქემების) შეთანხმება შესამაბის პირებთან, ორგანოებთან, მათ შორის მიწისქვეშა ქსელების მესაკუთრეებთან, ასევე სხვა კომუნიკაციებთან (მათ შორის შპს „მაგთი", სს „სილქნეტი", თბილსერვის ჯგუფი, შპს „ფორმულა" შპს „Gogas გოუგაზი", შპს „თბილისი ენერჯი", შპს „თელმიკო" და სხვ.), შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის სატრანსპორტო სამსახურთან, ქონების მართვის სააგენტოსთან და ქ.თბილისის საპატრულო პოლიციასთან. აღნიშნული უნდა დასრულდეს და დამკვეთს გადაეცეს თანხმობის წერილები „პროექტების" შედგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

2.3. ამ ხელშეკრულების 2.1 და 2.2. პუნქტით გათვალისწინებული „პროექტ(ებ)ის" და შესაბამისი პირების მიერ გაცემული თანხმობების, სანებართვო პირობების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, მათ შორის სამშენებლო და ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ყველა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით, უზრუნველყოს „ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის–რეკონსტრუქციის „სამუშაოების" დაწყება დამკვეთის წერილობითი მოთხოვნისთანავე და დაასრულოს აღნიშნული მოთხოვნიდან 100 (ასი) კალენდარული დღის ვადაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი სრულყოფილად, ჯეროვნად, დათქმულ ვადებში შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ სამუშაოებს, მათ შორის დროულად უზრუნველყოფს „პროექტების" მომზადებას, შეთანხმებას, 4.6. პუნქტით გათალისწინებული სამუშაოების სრული ციკლის შესრულებას და დამკვეთისთვის შესაბამისი as built ნახაზების გადაცემას, მხარეთა შორის გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული „სამუშაოები" და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს მაღალკვალიფიციურად ამ ტიპის „სამუშაოებისთვის" საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების და ნორმების დაცვით და მასთან შესაბამისობაში.

2.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული „სამუშაოები" და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო კანონმდებლობით და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

2.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ქვეშ გამავალი „ხაზობრივი ნაგებობების" ქსელების გადატანის სამუშაოების პროექტირება სამშენებლო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით. ამ პუნქტით გათვალისწინებული „პროექტების" შედგენის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს დამკვეთს შედგენილი „პროექტები".

2.1.4. უზრუნველყოს 2.1.3. პუნქტით გათვალისწინებული „პროექტების" საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის სამშენებლო და ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ უსაფრთხოების ნორმებთან, სამშენებლო და სანიტარულ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობა.

2.1.5. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „პროექტების" შექმნის/შედგენის პარალელურად „სამუშაოების" შესრულებისათვის განახორციელოს ყველა საჭირო სქემის, მათ შორის სატრანსპორტო და საპატრულო სქემების შედგენა შესაბამისი სამსახურებისთვის წარსადგენად და მათი შეთანხმება.

2.1.6. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით შედგენილი „პროექტების" შეთანხმება მიწისქვეშა ქსელების მესაკუთრეებთან, ასევე სხვა კომუნიკაციებთან (მათ შორის შპს „მაგთი", სს „სილქნეტი", თბილსერვის

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

ჯგუფი, შპს ,,ფორმულა" შპს ,,Gogas გოუგაზი", შპს ,,თბილისი ენერჯი", შპს ,,თელმიკო" და სხვ.), შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის სატრანსპორტო სამსახურთან, ქონების მართვის სააგენტოსთან და ქ.თბილისის საპატრულო პოლიციასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებული ,,პროექტების" შედგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში და შესაბამისი თანხმობების და შეთანხმებული ,,პროექტების" დამკვეთისთვის გადაცემა.

2.1.7. ამ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ,,პროექტების" შეთანხმების მომენტში შესაბამისი პირების, ორგანოების მიერ ხარვეზების დადგენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, გამოასწოროს ,,პროექტებში" არსებული ხარვეზები და შეაბრუნოს ,,პროექტები" შესაბამის პირბეთან/ორგანოებთან შესათანხმებლად. ამ პუნქტის მიზნებისთვის მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მომენტში საჭირო გახდება დამატებითი დოკუმენტაციის მომზადება, წარდგენა შესაბამისი პირისთვის/ორგანოსთვის, შემსრულებელი საკუთარი ხარჯით და რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი დოკუმენტაციის მომზადებას, წარდგენას და ,,პროექტების" შეთანხმებას. ამ პუნქტის დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევას და დამკვეთს აძლევს უფლებას შემსრულებლისთვის დამატებითი ვადის მიცემის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად.

2.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, დამკვეთის მოთხოვნიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში გადასცეს/გაუგზავნოს მას ყველა დოკუმენტი, მათ შორის ,,პროექტები", სქემები, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულია შემსრულებლის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის მიერ, დამკვეთის მიერ მოთხოვნილ ფორმატში (როგორც pdf ასევე მატერიალური სახით შტამპზე დასმული და უფლებამოსილი პირების მხრიდან ხელმოწერილი).

2.1.9. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ,,პროექტების" ყველა საჭირო ორგანოსთან/პირთან შეთანხმების შემდეგ არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში, გაუგზავნოს/გადასცეს დამკვეთს შესაბამისი თანხმობის წერილები, ასევე შეთანხმებული (ხელმოწერილი) ,,პროექტ(ებ)ი" , სქემები, დამკვეთის მიერ მოთხოვნილი პირობებით და ფორმატში.

2.1.10. ამ ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტით გათვალისწინებული „პროექტების" და შესაბამისი პირების მიერ გაცემული თანხმობების, სანებართვო პირობების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, მათ შორის სამშენებლო და ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ყველა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით, უზრუნველყოს მიწისქვეშა ქსელების გადატანის–რეკონსტრუქციის ,,სამუშაოების" წარმოება დამკვეთის წერილობითი მოთხოვნიდან 100 (ასი) კალენდარული დღის ვადაში.

2.1.11. წინამდებარე 2.1.10. პუნქტით გათვალისწინებული ,,ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის ,,სამუშაოების" დაწყება უზრუნველყოს დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის დაყენებიდან მომდევნო დღეს.

2.1.12. ,,ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის–რეკონსტრუქციის ,,სამუშაოების" სრული ციკლი შეასრულოს მის (შემსრულებლის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის) მიერ შესრულებული ,,პროექტების", შესაბამისი თანხმობების და სანებართვო პირობების გათვალისწინებით, იმგვარად რომ სამუშაოს შესრულების პროცესში და არც შემდგომ შესრულებულმა ,,სამუშაომ" საფრთხე არ შეუქმნას მიწის ნაკვეთს, ასევე მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობის კონსტრუქციულ მდგრადობას, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს და დამკვეთის ან/და მესამე პირების ქონებას, სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ამ პუნქტის მიზნებისთვის მხარეები თანხმდებიან, რომ მიწისქვეშა ქსელების გადატანის–რეკონსტრუქციის ,,სამუშაოების" სრული ციკლი გულისხმობს როგორც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მხარეებისთვის ცნობილი წყალანირების კოლექტორების და წყალსადენის ქსელების, ასევე ,,სამუშოების" განხორციელების მომენტში მიწის ნაკვეთში ფაქტობრივად აღმოჩენილი სხვა წყლის ქსელების, მილების გადატანის სამუშაოების შესრულებას.

2.1.13. ,,ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის და სამუშაოების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ დამკვეთის ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების ზედამხედველობის მიზნით დანიშნული იქნება საზედამხედველო კომპანია/პირი, დამკვეთი წერილობით აცნობებს შემსრულებელს აღნიშნულის თაობაზე და სამუშაოების შესრულებისას შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს და შეასრულოს ობიექტზე/სამუშაოს შესრულების ადგილზე დანიშნული ზედამხედველის მოთხოვნები, მის მიერ მიცემული რეკომენდაციები.

2.1.14. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ქვეკონტრაქტის საფუძველზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად სხვა პირისთვის გადაცემა. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის მიერ გარკვეული სამუშაოების შესრულება ყოველ ჯერზე უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან. თუმცა, შემსრულებლის მიერ სამუშაოების გადანდობის და დამკვეთის მიერ გაცემული თანხმობ(ებ)ის მიუხედავად, შემსრულებელი თავად რჩება პასუხისმგებელი ქვეკონტრაქტორების, მათი წარმომადგენლების თუ თანამშრომლების და სხვა მესამე პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე, გამოყენებულ მასალაზე, ასევე შესასრულებელ ვალდებულებებზე, მათ ქმედებებსა თუ დარღვევებზე ისევე, როგორც იგი იქნებოდა პასუხისმგებელი პირადად შესრულებულ სამუშაოზე, პირადად ნაკისრ ვალდებულებებზე, საკუთარ ქმედებებსა და დარღვევებზე.

2.1.15. შემსრულებელი პასუხისმგებელია დამკვეთის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ სამუშაოების წარმოებაზე, მის ხარისხზე, სამუშაოს შესასრულებლად

გამოსაყენებელი/გამოყენებული მასალის უსაფრთხოებაზე, ხარისხზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე და ვალდებულია კოორდინირება გაუწიოს მათ საქმიანობას. ასევე, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მათ მიერ შედგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში ყველა საჭირო დეტალის და ინფორმაციის ასახვა მთლიანი საპროექტო დოკუმენტაციის კოორდინირების მიზნით.

2.1.16. შემსრულებელი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების მიზნით გამოიყენოს დამკვეთის ობიექტზე არსებული საშუალებები, მათ შორის წყლის და ელექტროენერგიის რესურსი, თუმცა ვალდებულია დადგეს ქვე/დროებით აბონენტად და უზრუნველყოს მოხმარებული კომუნალური ხარჯების გადახდა.

2.1.17. შემსრულებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ელექტროენერგიის, წყლის, კანალიზაციის და სხვა კომუნიკაციების დამატებითი სიმძლავრეები საკუთარი რისკითა და ხარჯით.

2.1.18. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო სამუშაო აღჭურვილობის/ტექნიკის, მასალის მობილიზება და სამუშაოების დასრულებამდე მისი შენახვა. უზრუნველყოს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ტექნიკის და აღჭურვილობის სამუშაოების შესრულების პროცესში იმგვარად გამოყენება, რომ საფრთხე არ შეუქმნას მუშა პერსონალს, დამკვეთის ან მისი წარმომადგენლის (ზედამხედველის), ასევე ნებისმიერი მესამე პირის ქონებას, სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

2.1.19. უზრუნველყოს სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილი სამშენებლო მოედნის დაცვა.

2.1.20. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულების ადგილზე (სამშენებლო მოედანზე) შეყვანილი ტექნიკის და განთავსებული მატერიალური აქტივების, ასევე მასალების და სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობის 24 (ოცდაოთხი) საათიანი დაცვა, მისი დაზიანების ან/და განადგურებისაგან, გაქრობისაგან (იგულისხმება ქურდობა).

2.1.21. „სამუშაოების" განხორციელების პროცესში უზრუნველყოს უცხო პირთა შეუღწევლობა სამუშაოს შესრულების ადგილზე, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში მოაწყოს უსაფრთხოების ღობე, თვალსაჩინო ადგილას უზრუნველყოს სპეციალური მანიშნებლის, აბრის, ნიშნის განთავსება.

2.1.22. მიწის ნაკვეთის ქვეშ გამავალი ქსელების გადატანა და სარეკონსტრუქციო „სამუშაოები" შეასრულოს იმგვარად, რომ დაცული იყოს მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა–ნაგებობის, ასევე მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული შენობა–ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობა და სამუშაო შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო კანონმდებლობით და ტექნიკური რეგლამენტ(ებ)ით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ნორმებთან.

2.1.23. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხარისხიანად, იმგვარი მასალით/საქონლით და მეთოდოლოგიით რომელიც უსაფრთხო და მდგრადი იქნება გადატანილი ქსელების და მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების შემდგომი ექსპლუატაციისათვის. შემსრულებლის მიერ უხარისხოდ სამუშაოს შესრულების შედეგად ან/და შეცდომით განხორციელებული სამუშაოს, ასევე სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული პროდუქტის/საქონლის/მასალის დეფექტის/გაუმართაობის ან/და ტექნიკური წუნის, ასევე ფარული ნაკლის ქონის შედეგად, დამდგარ ზიანზე რომელიც შესაძლოა მიადგეს დამკვეთის ან/და მესამე პირების ქონებას, ასევე ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, პასუხსიმგებლობა სრულად ეკისრება შემსრულებელს, მიუხედავად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა.

2.1.24. უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება იმგვარად, რომ როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე მისი დასრულების ან/და ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ, გამოირიცხოს დამკვეთის და მესამე პირების ქონების ნებისმიერი სახის დაზიანება.

2.1.25. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულების ადგილზე დაშვებულ პირთა, ასევე მესამე პირთა, უსაფრთხოება.

2.1.26. მიავლინოს სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი რაოდენობისა და „სათანადო კვალიფიკაციის" პერსონალი, მათ შორის შრომის უსაფრთხოების დაცვის სერთიფიცირებული ინჟინერი და უზრუნველყოს მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

2.1.27. სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე გადატანის ან/და სარეკონსტრქუციო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს სამუშაოს შესრულების ადგილის შეფასება შრომის უსაფრთხოების კუთხით და მხოლოდ ამის შემდგომ უზრუნველყოს მისი პერსონალის მიერ სამუშაოების ფაქტობრივი დაწყება.

2.1.28. მისი პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ნორმების სრულყოფილად დაცვა. მათ შორის უზრუნველყოს პერსონალის მიერ სამუშაოების შესრულებლისას სიმაღლეზე მუშაობის წესების დაცვა. ის ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ნებისმიერი ფინანსური ჯარიმა ან თანხის ის ოდენობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას დამკვეთის მიმართ სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით წარმოებული სამუშაოების შედეგად.

2.1.29. გააცნოს მის პერსონალს უსაფრთხოების წესები და ჩაუტაროს მათ სათანადო ინსტრუქტაჟი; ინსტრუქტაჟის ჩატარების ფაქტს შესაბამისი პირები უნდა ადასტურებდნენ უსაფრთხოების ჟურნალში ხელმოწერით და თარიღის მითითებით;

2.1.30. სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე ყოველდღიურად აწარმოოს სამუშაოების, მასალის შემოტანის/გატანის აღრიცხვის/წარმოების ჟურნალი.

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

2.1.31. უზრუნველყოს ისეთი დროებითი საშუალებების (ბილიკები, ღობეები და სხვა) შექმნა, რაც აუცილებელია სამუშაოების შესასრულებლად ან მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების, მოსარგებლეების და საზოგადოების მიერ გამოყენებისთვის;
2.1.32. სამუშაოების წარმოების სრული პერიოდის განმავლობაში მიიღოს ყველა გონივრული სიფრთხილის ზომა, რათა დაიცვას სამშენებლო მოედანზე მყოფი პირების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
2.1.33. უზრუნველყოს სამშენებლო მოედანზე პირველადი დახმარების საშუალებების ქონა.
2.1.34. უზრუნველყოს, სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე შემსრულებლის, მათ შორის შემსრულებლის წარმომადგენლების, თანამშრომლების, დაქირავებული პირების, შემსრულებლის პერსონალის, ასევე ქვეკონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვა და კონტროლი.
2.1.35. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე და მისკენ მისასვლელ გზებზე დაიცვას სისუფთავე სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, ხოლო სამუშაოების დასრულების ან ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში დააბრუნოს გასუფთავებულ მდგომარეობაში. დალაგება-დასუფთავების, ასევე გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის შეგროვების და გატანის ხარჯებს სრულად გაიღებს შემსრულებელი.
2.1.36. შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვას გარემო (როგორც სამშენებლო მოედნის შიგნით, ასევე მის გარეთ) დაბინძურებისგან და მისი საქმიანობის სხვა უარყოფითი შედეგებისგან. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ შემსრულებლის საქმიანობიდან გამომდინარე გაფრქვევებმა, ზედაპირული წყლებისა და ნარჩენი წყლების ჩადინებამ არ გადააჭარბოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.
2.1.37. შემსრულებელი ვალდებულია დაგეგმოს სამუშაოთა შესრულება და თავად მართოს სამუშაოების წარმოების პროცესი ხელშეკრულების შესაბამისად და კოორდინირება გაუწიოს სამუშაოს შესრულების ადგილას/მიწის ნაკვეთზე მყოფი ქვეკონტრაქტორების ან დამკვეთის სხვა კონტრაქტორების სამუშაოებს.
2.1.38. შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე წარმოებული სამუშაოების და მათი შესრულების მეთოდების შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, პროცესის ადეკვატურობაზე, სტაბილურობაზე, უსაფრთხოებაზე და შესრულებული სამუშაოების სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და საიმედოობაზე.
2.1.39. შემსრულებელი ვალდებულია თავად, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით (მათ შორის, სამშენებლო ტექნიკის განსათავსებელად საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ნებართვის მიღება) ყველა აუცილებელი ნებართვის, ლიცენზიის და თანხმობის მოპოვება და დოკუმენტაციის მომზადება.
2.1.40.შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოების დასაპროექტებლად, შესასრულებლად, დასასრულებლად და დეფექტების აღმოსაფხვრელად საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ნებისმიერი აუცილებელი ტექნიკის, ინვენტარის, დანადგარის, პერსონალის, აღჭურვილობის, მოწყობილობების ტრანსპორტირებას, მობილიზაციას, ფლობას, გამოყენებას, დემონტაჟს.
2.1.41. შემსრულებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს სამუშაოს შესრულების ადგილზე/მიწის ნაკვეთზე არსებულ დამკვეთის და მესამე პირების მასალებს და სამშენებლო აღჭურვილობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაკეთობებს, სამუშაოებს, ასევე საკომუნიკაციო (წყალმომარაგება, ელექტროენერგია) სისტემებს და მრიცხველებს; შემსრულებლის (მათ შორის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების, დაქირავებული პირების, ქვეკონტრაქტორების) მიერ მათი დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ან მისი ღირებულების სრულად დაფარვა, ასევე ზიანის ანაზღაურება და ნებისმიერი ჯარიმის (მათ შორის ადმინისტრაციული) გადახდა.
2.1.42. სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია შეადგინოს ფარული სამუშაოების აქტები, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.
2.1.43. უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული და შესაბამისი პირების მიერ დადასტურებული პროექტის შესაბამისად მიწისქვეშა ქსელების გადატანის ,,სამუშაოების" შესრულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.
2.1.44. ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე გადასცეს დამკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო სამუშაო, ნაკლს უთანაბრდება, თუ შემსრულებელი შეასრულებს სამუშაოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ,,პროექტ(ებ)ის" დარღვევით ან/და შეთანხმებული პირობების დარღვევით ან/და თუ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაო არ შესრულდება სრულად, ჯეროვნად, გულისხმიერად და აშ.
2.1.45. შემსრულებელი ვალდებულია შეადგინოს საშემსრულებლო ნახაზები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ,,სამუშაოების" დასრულების შემდეგ და გადასცეს დამკვეთს როგორც ელექტორნული ფორმით ასევე მატერიალურად უფლებამოსილი პირების მხრიდან ხელმოწერილი და შტამპზე დასმული.
2.1.46 პირადად აგოს პასუხი ნებისმიერი ზიანის და/ან დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება დამკვეთს, მის ქონებას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსრულებლის მიერ სამუშაოების შესრულების შედეგად ან/და მისი დასრულების შემდეგ თუმცა შემსრულებლის მიზეზით.

დამკვეთი _____ **შემსრულებელი** _____

2.1.47. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას მის ქმედებას შედეგად მოყვა მესამე პირთა ქონებრივი და/ან არაქონებრივი ინტერესების შელახვა, შემსრულებელი სრულად აგებს პასუხს მესამე პირთათვის მიყენებული ზიანისთვის.

2.1.48. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად საკუთარი ხარჯით შეიძინოს მასალა და სამუშაოების შესრულებისას გამოიყენოს ხანძარმედეგობის მქონე, მდგრადი მასალები, ასევე ყველა ის/ისეთი მასალა რომელიც უსაფრთხოა შემდგომში ქსელების და მიწის ზემოთ არსებული შენობა–ნაგებობების უსაფრთხოდ ექსპლუატაციისთვის. დამკვეთის მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს დამკვეთს ამ პუნქტით გათვალისწინებული მასალების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ დოკუმენტაცია, მათ შორის სერთიფიკატები და სხვ.

2.1.49. სამუშაოს დასრულების შემდგომ მიაწოდოს დამკვეთს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტი ფორმა#2.

2.1.50. სამუშაოების ეტაპის ან მისი სრულად დასრულების შემდეგ მოახდინოს სამშენებლო, სარემონტო/სამონტაჟო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია დააჯარიმოს შემსრულებელი ნაგვის გატანისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებით.

2.1.51. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს დამკვეთს ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

2.1.52. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს დამკვეთს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაოს შერულებასთან.

2.1.53. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს გატესტვა/საექსპერტო შეფასება უსაფრთხოების ნორმებთან სამუშაოს შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2.1.54. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის მიერ საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტების მომზადებით არ დაირღვეს მესამე პირების საავტორო უფლებები. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საპროექტო და სამშენებლო/გადატანის სამუშაოების დოკუმენტაცია (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში) მომზადებული იქნება სათანადო კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირების მიერ.

2.1.55. ამ ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტორის მიერ მომზადებულ საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაციაზე ყველა სახის ქონებრივი უფლება ეკუთვნის დამკვეთს მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისა. როდესაც საპროექტო და/ან სამშენებლო/გადატანის სამუშაოების დოკუმენტაცია (ან მისი ნაწილი) მომზადებულია სხვა პირის (გარდა შემსრულებლისა) მიერ, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული ყველა უფლება გადაეცეს დამკვეთს.

2.1.56. ქსელების გადატანის სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოს წყალსადენ–წყალანირების ქსელის გარშემო წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა–ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი შესაძლო ზარალის რისკი.

2.1.57. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად, გულისხმიერად და ჯეროვნად შესრულება, იმგვარად რომ დაცული იყოს საქართველოს კანონმდებლობა და კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები და წესები.

2.1 <u>შემსრულებელის უფლებები:</u>

2.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების, მისი „დამკვეთის" ან/და დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღების შემდეგ, გააფორმოს „დამკვეთთან" მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა#2 და მოსთხოვოს მას ანგარიშსწორება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2.1.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება სამუშაოს შესრულების ადგილას/მიწის ნაკვეთზე შეიტანოს და/ან დაასაწყობოს ისეთი მასალები, ინვენტარი და სამშენებლო აღჭურვილობა, რაც არ არის გამიზნული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სამუშაოების" წარმოებისთვის. ამასთან შემსრულებელი არ არის უფლებამოსილი ზედამხედველის თანხმობის გარეშე ობიექტიდან/მიწის ნაკვეთიდან გაიტანოს მასალები, ტექნიკა, ინვენტარი და აღჭურვილობა.

2.2 <u>დამკვეთი ვალდებულია:</u>

2.2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულების და „დამკვეთის" მიერ მისი მოწონების/მიღების შემდეგ, გააფორმოს „შემსრულებელთან" შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.2.2 უზრუნველყოს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

2.3. <u>დამკვეთი უფლებამოსილია:</u>

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

2.3.1. მოსთხოვოს „შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად, გულისხმიერად და ჯეროვნად შესრულება.

2.3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების „შემსრულებლის" მიერ დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად ან/და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება.

2.3.3. დამკვეთი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ, ობიექტზე მის წარმომადგენლად დანიშნოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

2.3.4. დამკვეთი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ დაადგინოს, შეცვალოს, გააფართოვოს, შეამციროს მის წარმომადგენლებზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლები/ფუნქციები, რის შესახებაც ატყობინებს შემსრულებელს.

2.3.5. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს სამუშაოს შესრულების ადგილას/მიწის ნაკვეთზე მყოფი პირების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვა. დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს კონტრაქტორს პირგასამტეხლო ყოველი ამგვარი დარღვევისთვის ხელშეკრულების მე–7 მუხლის შესაბამისად.

2.3.6. დამკვეთი უფლებამოსილია გამოქვითოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებლისთვის გადასახდელი თანხებიდან შემსრულებლისთვის დარიცხული პირგასამტეხლო და ნაკლის მქონე სამუშაოთა ღირებულება, ზიანი და ნებისმიერი ხარჯი, რაც უნდა გაეწია შემსრულებელს და/ან ექვემდებარება შემსრულებლის მიერ ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი აღნიშნულ თანხებს არ დააკავებს შემსრულებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხებიდან, აღნიშნული არ ართმევს დამკვეთს უფლებას მოსთხოვოს შემსრულებელს შესაბამისი თანხების ანაზღაურება.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა და მიღება - ჩაბარება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემსრულებლის მიერ შესასრულებელი „სამუშაოს"/„სამუშაოების" შესრულების ვადები თითოეულ ეტაპზე მითითებულია ამ ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლებში.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად დასრულების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტზე და ფორმა#2–ზე ხელმომწერი პირი დამკვეთის გადაწყვეტილებით იქნება სამუშაოს შესრულების ადგილზე/სამშენებლო მოედანზე დანიშნული ზედამხედველი ან უშუალოდ დამკვეთი ან მის მიერ განსაზღვრული სხვა პირი. ამ პუნქტის მიზნებისთვის მხარეები თანხმდებიან, რომ მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერა დამკვეთის ან მისი უფლებამოსილი პირის მხრიდან ნიშნავს სამუშაოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჩაბარებას და არ გულისხმობს მის ხარისხობრივ ან/და პროექტთან ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან, შესაბამისობის შეფასებას და დადასტურებას.

3.4. იმ შემთხვევაში, თუ, შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაო, ნაკლის მქონეა, არ ემთხვევა ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ პირობებს ან/და დამკვეთის მოთხოვნებს, შეუსაბამოა დანიშნულებასთან, შეთანხმებულ პირობებთან, ხარვეზიანია, დაუსრულებელია, დამკვეთი უფლებამოსილია და შემსრულებელი თანახმაა, არ ჩაიბაროს სამუშაო და :

3.4.1. დაუწესოს შემსრულებელს ნაკლის გამოსწორების ვადა ან

3.4.2. შეამციროს სახელშეკრულებო ღირებულება ნაკლიანად შესრულებული სამუშაოს ან/და გამოყენებული ნაკლიანი საქონლის/მასალის პროპორციულად ან

3.4.3. იმოქმედოს ხელშეკრულების 7.5 პუნქტის შესაბამისად.

3.5. შემსრულებელი ვალდებულია გამოასწოროს ნაკლი საკუთარი ხარჯით დამკვეთის მიერ მითითებულ ვადაში, სამუშაოს ჩაბარება მოხდება ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული წესით.

3.6. თუ შემსრულებლის სამუშაოს ნაკლის გამო დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა ან შემსრულებელი უარს ამბობს დამატებით შესრულებაზე, ან დამკვეთს დაეკარგება ინტერესი შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით, დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ასევე მიყენებული ზიანი/ზარალის ანაზღაურება.

3.7. შესრულებული სამუშაოს და მის შესასრულებლად გამოყენებული მასალის/საქონლის საგარანტიო ვადა არის სამუშაოს ჩაბარების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვე. საგარანტიო ვადის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის, ფარული ნაკლის, არსებობის/აღმოჩენის ან/და შემსრულების მიერ გადატანილი ქსელის დაზიანების, დაბზარვის, ავარიის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება, გამოასწოროს ნაკლიანი/დაზიანებული/განადგურებული საქონელი/მასალა, მისი ნაწილები, ახლით ან/და აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა მისი ხარჯით დამკვეთის მიერ მითითებულ ვადაში, იმგვარად, რომ დაცული იყოს

დამკვეთი _____ **შემსრულებელი** _____

საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის სამშენებლო და სანიტარული ნორმები. აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია იმოქმედოს 7.6. პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 4. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაოების (4.6. პუნქტის შესაბამისად) სრული ციკლის ჯამური ღირებულება განისაზღვრება ეტაპობრივად შესრულებული ,,სამუშაოების" მიხედვით, შემსრულებლის მიერ ყოველ ეტაპზე წარმოდგენილი ფორმა#2–ის საფუძველზე. მხარეები აქვე თანხმდებიან რომ ფორმა#2–ში გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ,,სამუშაოს" შესრულების მომენტისთვის არებული (მასალის და სამუშაოს) საბაზრო ღირებულებებით.

4.2. ღირებულების გადახდა განხორციელდება დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

4.3. შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებია :

ბანკის დასახელება:	**სს ,,საქართველოს ბანკი"**
ბანკის კოდი:	**BAGAGE22**
ანგარიშის N:	**GE28BG0000000499257172**

4.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ,,ხაზობრივი ნაგებობების" გადატანის–რეკონსტრუქციის ,,სამუშაოების" სრული ციკლი გულისხმობს როგორც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მხარეებისთვის ცნობილი ქსელების, ასევე ,,სამუშოების" განხორციელების მომენტში მიწის ნაკვეთში ფაქტობრივად აღმოჩენილი სხვა წყლის ქსელების, წყალსადენების, მილების გადატანის სამუშაოების შესრულებას და შესაბამისად ფაქტობრივად აღმოჩენილი სხვა სამუშაოების შესრულება გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების ღირებულების ცვლილებაზე.

მუხლი 5. განცხადებები და გარანტიები

5.1. თითოეული მხარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

5.1.1. მას გააჩნია სრული უფლებამოსილება შევიდეს გარიგებაში მხარესთან წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

5.1.2. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპ ოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა, ლიცენზია თუ მინდობილობა.

5.1.3. ხელშეკრულება იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, მეორე მხარის ან მესამე პირის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

5.1.4. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ აღჭურვილნი არიან ყველა შესაბამისი უფლებამოსილებით გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება და უზრუნველყონ მისი პირობების დაცვა.

5.2. შემსრულებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

5.2.1. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა რუსეთ-უკრაინას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური და საომარი ვითარების დროს, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს შეფერხებას, დაუძლეველ ძალას და რომ მას აქვს სრული მზადყოფნა და შესაძლებლობა განახორციელოს/შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შემსრულებლის აღნიშნული გაცხადებული გარანტია არის დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მასთან გაფორმების საფუძველი. ,,შემსრულებელი" სრულად არის პასუხისმგებელი აღნიშნული გაცხადებული გარანტიის არარსებობის შემთხვევაში მის შედეგად ,,დამკვეთისთვის" მიყენებულ ზიანზე/ზარალზე.

5.2.2. შემსრულებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის, ცოდნისა და გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ,,პროექტ(ებ)ის", სქემების შექმნას, იმგვარად რომ აღნიშნული ,,პროექტ(ებ)ი" შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის სამშენებლო და სანიტარულ ნორმებითან და წესებთან და ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ ნორმებთან. შემსრულებლის აღნიშნული გაცხადებული გარანტია არის დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მასთან გაფორმების საფუძველი.

5.2.3. შემსრულებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ მან გულდასმით დაათვალიერა და შეამოწმა სამუშაოს შესრულების ადგილი/ობიექტი/მიწის ნაკვეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია, და ადასტურებს, რომ სამუშაოს შესრულების ადგილი/ობიექტი, მათ შორის, მიწისქვეშა გეოლოგიური პირობები, ასევე ობიექტის ჰიდროლოგიური და კლიმატური

პირობები აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ყველა აუცილებელ პარამეტრსა და მოთხოვნას და არ არსებობს შემაფერხებელი გარემოებები ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაოების დაწყებისა და შეუფერხებლად შესრულებისათვის.

5.2.4. შემსრულებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ სამუშაოს შესრულების ადგილას განხორციელებული ქსელების გადატანის, სამონტაჟო, სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდება იმგვარი მეთოდოლოგიით, სამშენებლო გადაწყვეტით და მასალით რომელიც უსაფრთხო იქნება დამკვეთის მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობების, მიმდებარე მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობების, ასევე გადატანილი მიწისქვეშა ქსელების შემდგომი ექსპლუატაციისას და გამორიცხავს ნებისმიერი სახის ავარიის, შენობის ჩამონგრევის, მისი მდგრადობის დარღვევის ან/და რაიმე სხვა საფრთხეს. შემსრულებლის აღნიშნული გაცხადებული გარანტია არის დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მასთან გაფორმების საფუძველი.

5.2.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულდება ამ ტიპის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო და სანიტარული კანონმდებლობით და ტექნიკური რეგლამენტ(ებ)ით გათვალისწინებული ნორმების და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით და მასთან შესაბამისობაში და რომ აღნიშნული გარანტია არის დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მასთან დადების საფუძველი. ამ პუნქტის მიზნებისთვის შემსრულებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ საქართველოში აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, შემსრულებელი საკუთარი გადაწყვეტილებით უზრუნველყოფს იმ სტანდარტის მიხედვით „სამუშაოების" შესრულებას, რომელიც უფრო ახლოს არის და მისაღებია, უსაფრთხოა, მსგავსი მასშტაბის, სირთულის „პროექტ(ებ)ის"/„სამუშაოების" შესრულებასთან და პასუხისმგებელია აღნიშნულიდან დამდგარ შედეგებზე, მიუხედავად მხარეთა შორის სამუშაოს მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა.

5.2.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი აცხადებს, რომ მას გაცნობიერებული აქვს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკა და რომ მან დაათვალიერა სამუშაოს შესრულების ადგილი და ის გაცნობილია სამუშაოს შესრულების პირობებს;

5.2.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულდება ამ ტიპის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული საქართველოში აღიარებული შრომის უსაფრთხოების სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით და მასთან შესაბამისობაში და რომ აღნიშნული გარანტია არის დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მასთან დადების საფუძველი.

5.2.8. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ დამკვეთი იხსნის ყველა სახის პასუხისმგებლობას ნებისმიერი მესამე პირის, მათ შორის შემსრულებლის მიმართ დამდგარ იმ ზიანზე,ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს შემსრულებელს, მის აღჭურვილობას, პერსონალს ან/და ნებისმიერ მესამე პირს შემსრულებლის მიერ სამუშაოს შესრულების პროცესში და ასევე მისი დასრულების შემდგომ „პროექტის" ან/და განხორციელებული „სამუშაოს" საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ შესრულების შემთხვევაში. დამკვეთი არ აგებს პასუხს, სამუშაოთა შესრულების პროცესში და არც შემდგომ შემსრულებლის, შემსრულებლის მიერ ჩართული პერსონალის ან/და მესამე პირების უსაფრთხოებაზე, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ასევე სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანებაზე/განადგურებაზე.

5.2.9. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პასუხისმგებელია, ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის (განცხადებების და გარანტიების) სისწორეზე/უტყუარობაზე. შემსრულებელი პასუხისმგებელია ყველა იმ ზიანზე/ზარალზე რომელიც შესაძლოა მიადგეს დამკვეთის (მათ შორის მექვსე მუხლით გათვალისწინებული პირობის დარღვევა), მისი წარმომადგენლის, ასევე მესამე პირთა ქონებას, სიცოცხლეს და ჯანმრთელობას წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ცრუ ინფორმაციის გაცხადების, ამ განცხადებების და გარანტიების დარღვევის, შეუსრულებლობის გამო.

5.3. თითოეული მხარის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ინარჩუნებს ძალას მიუხედავად მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა, მიუხედავად მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

5.4. თითოეული მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შე იძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვე ვა.

დამკვეთი _____ **შემსრულებელი** _____

5.5. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ თითოეული მხარე მხოლოდ ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტი ების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს ხელშეკრულებას.

მუხლი 6. კონფიდენციალურობა

6.1. ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცნობილი გახდა მხარეებისთვის, ითვლება კომერციულ საიდუმლოებად/კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის გადაცემას ან გამოქვეყნებას.

6.2. ხელშეკრულების მიზნებისათვის, ტერმინი „კომერციული საიდუმლოება/კონფიდენციალური ინფორმაცია“ მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელიც მოიპოვა/გადაეცა შემსრულებელს ნებისმიერი ფორმით ნებისმიერი საფუძვლით და მოტივით.

6.3. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების პროცესში ან დასრულების შემდგომ პერიოდში, მათთვის ცნობილი ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები წინასწარ წერილობით შეთანხმდებიან ინფორმაციის გაცემის/გამჟღავნების თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა ძალაშია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც.

6.4. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრ ულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი/ზარალი კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულე ბით დადგენილი წესით, ხოლო ზიანის/ზარალის ანაზღაურება მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვ ალდებულებების შესრულებისაგან.

7.2. შემსრულებელი პასუხსიმგებელია დამკვეთის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემქნილი „პროექტ(ებ)ის“ (მათ შორის სქემების) სისწორეზე, მის შესაბამისობაზე საქართველოს კანონმდებლობობასთან, მათ შორის სამშენებლო და სანიტარული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან, ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ უსაფრთხოების ნორმებთან. იმ შემთხვევაშ თუ შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი დოკუმენტები, მათ შრის „პროექტ(ებ)ი“ არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, დარღვეულია საქართველოს ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, მათ შრის დარღვეულია პირობები ნებისმიერი მესამე პირის წინაშე, შემსრულებელი სრულად არის პასუხსიმგებელი აღნიშნული დარღვევიდან გამომდინარე შედეგებზე. შესაბამისად დამკვეთი იხსნის ყველა სახის პასუხსიმგებლობას მესამე პირთა წინაშე, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების წინაშე, როგორც „პროექტ(ებ)ის“ შეუსაბამობაზე ასევე „პროექტ(ებ)ის“ შესაბამისად შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე.

7.3. შემსრულებელი პასუხისმგებელია შესრულებული „სამუშაოს“ ხარისხზე, ასევე შესრულებული სამუშაოს „პროექტთან“ შესაბამისობაზე, მიუხედავად დამკვეთის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სამუშაოს ჩაბარებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა. შემსრულებლის მიერ უხარისხოდ, შეცდომით სამუშაოს შესრულების ან/და პროდუქტის დეფექტის ან/და ტექნიკური წუნის, ფარული ნაკლის მქონე მასალის გამოყენების გამო ან/და „პროექტთან“ შეუსაბამოდ სამუშაოების შესრულების, შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხსიმგებლობა სრულად ეკისრება შემსრულებელს, როგორც დამკვეთის ასევე მესამე პირების წინაშე, ამასთან შემსრულებელიი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების ადგილზე/ობიექტზე განხორციელებული ყველა ოპერაციის ადეკვატურობაზე, სტაბილურობაზე და უსაფრთხოებაზე და მშენებლობის/სამუშაოების ყველა მეთოდზე.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დასრულების შემდგომ და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში დამკვეთის მიერ სამუშაოს ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია გადახდისათვის განუსაზღვროს დამატებით 10 (ათი) დღიანი ვადა დამკვეთს, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.01% გადახდის ვადის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, ვალდებულებების, შემსრულებლის მიერ დარღვევის ან/და პირველი ან მეორე მუხლით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში,

დამკვეთი _____ **შემსრულებელი** _____

დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო შესასრულებელის სამუშაოს ღირებულები 0.01% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თითოეული დარღვევისთვის მის გამოსწორებამდე.

7.6. დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების, ასევე ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი დარღვევის, შეუსრულებლობისთვის/ნაწილობრივ შესრულებისთვის, მათ შორის საგარანტიო პერიოდში შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების, პირობების, დარღვევის, შეუსრულებლობის, ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შეტყობინების საფუძველზე მოშალოს ხელშეკრულება (თუ აშკარაა შედეგის არარსებობა დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად) და მოითხოვოს მის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი საფასურის სრულად უკან დაბრუნება და ჯარიმის სახით შესრულებული სამუშაოს ღირებულების 50 (ორმოცდაათი) %-ის გადახდა. შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნული მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7.7. შემსრულებელს ეკისრება სამუშაოს შესრულების პროცესში შემსრულებლის, მისი პერსონალის მიერ დამკვეთის ან/და ნებისმიერი მესამე პირის ქონების დაღუპვაზე/დაზიანებაზე რისკი. შემსრულებელი ვალდებულია 7.6 პუნქტით გათვალისწინებულ ჯარიმასთან ერთად აუნაზღაუროს დამკვეთს მისთვის მიყენებული ზიანი/ზარალის ოდენობა.

7.8. შემსრულებელი პასუხისმგებელია დამკვეთის წინაშე, ყველა იმ ზიანზე თუ ფინანსურ ზარალზე, რომელიც ჯარიმის ან ნებისმიერი სხვა სანქციის სახით შესაძლოა გამოყენებული იყოს სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამკვეთის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის, შეუსრულებლობის, მათ შორის შემსრულებლის მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის, დაუცველობის, და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების დარღვევის გამო. ამასთან სამუშაოს შესრულების ადგილზე შემსრულებლის, მათ შორის შემსრულებლის წარმომადგენლების, თანამშრომლების, დაქირავებული პირების, შემსრულებლის პერსონალის, ასევე ქვეკონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს.

7.9. შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია დააჯარიმოს შემსრულებელი ნაგვის გატანისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებით და აღნიშნული ხარჯი გამოუქვითოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების საფასურიდან.

7.10. დამკვეთის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან ზედამხედველის მიერ ფარული სამუშაოების აქტზე, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა, ნებისმიერი თანხმობა, დადასტურება, შეტყობინება, შემოწმება, შეთანხმება, დამტკიცება, შეთავაზება, მოთხოვნა, ტესტირება ან სხვა მსგავსი ქმედება არ ათავისუფლებს შემსრულებელს რაიმე პასუხისმგებლობისგან, მათ შორის, პასუხისმგებლობისგან შეცდომის, გამოტოვების, განსხვავებების და შეუსაბამისობისთვის, ან ვალდებულებისგან, რაც სხვაგვარად იარსებებდა ან დადგებოდა, რაც მას ხელშეკრულების და/ან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აქვს, მათ შორის რაც უკავშირდება სამუშაოების, ასევე მასალების ნაკლს, შეცდომებს, გამორჩენას და შეუსაბამობას.

7.11. დამკვეთი არ არის პასუხისმგებელი საპროექტო და ქსელის გადატანის სამუშაოების დოკუმენტაციაში არსებულ რაიმე შეცდომაზე, შეუსაბამობასა ან გამოტოვებაზე.

7.12. მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას რათა მათ შორის წარმოქმნილი სადაო საკითხი აღმოფხვრან მოლაპარაკების გზით. თუ მხარეებს შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა ვადამდე შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.1.2. გარდა წინამდებარე მუხლის 8.2. პუნქტით გათვალისწინებულისა, დამკვეთის ინიციატივით ცალმხრივად, ამ შემთხვევაში დამკვეთი აუნაზღაურებს შემსრულებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, მხოლოდ მას შემდეგ რაც შემსრულებელი გადასცემს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მის მიერ შედგენილი/შექმნილი დოკუმენტაციის სრულ ვერსიას ან/და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

8.2. დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, შეუსრულებლობით/ნაწილობრივ შესრულების საფუძვლით, დამკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამორიცხავს მის უფლებამოსილებას მოითხოვოს შემსრულებლისგან ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება, ზიანის/ზარალის ანაზღაურება და იმოქმედოს მე-7 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

დამკვეთი _____

შემსრულებელი _____

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად. ფორსმაჟორი გულისხმობს ისეთი გარემოების არსებობას, რომელთა დადგომა, შეცვლა ან/და შეწყვეტა მხარის ნებაზე ან/და შესაძლებლობაზე არ არის დამოკიდებული, ანუ წარმოადგენს მხარისათვის დაუძლეველ ძალას, არ არის გამოწვეული ამ მხარის ბრალეული ქმედებით და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ რომლის დროსაც მხარისთვის ობიექტურად შეუძლებელია მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

9.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

9.3. მხარეები ვალდებული არიან ფორსმაჟორული გარემოებების დადგომისას წერილობით ორი დღის ვადაში შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 10. საავტორო უფლება

10.1. შემსრულებელი გადასცემს დამკვეთს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ განსაკუთრებულ საავტორო უფლებებს სრულად და უპირობოდ, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ „პროექტ(ებ)ზე", დოკუმენტაციაზე. აღნიშნული მოიცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ, ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების ყველა განსაკუთრებულ უფლებას.

10.2. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი ინარჩუნებს ნაწარმოების ავტორად აღიარებისა და სახელის მითითების არაქონებრივ საავტორო უფლებას, ამავე დროს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად დამკვეთი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები მის „პროექტ(ებ)ში" და ამავე მუხლის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად უარს ამბობს ნაწარმოების გამოხმობის უფლებაზე.

10.3. იმ საპროექტო დოკუმენტაციაში, რომლის დამუშავებაც მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, შემსრულებელი წინასწარ და შეუქცევადად აცხადებს თანხმობას, რომ ის, როგორც „პროექტ(ებ)ის" ავტორი ან საავტორო უფლების მფლობელი, ნებას რთავს დამკვეთს განახორციელოს ნებისმიერი ცვლილებება/კორექტირება და ამ მიზნით კორექტირება დაუკვეთოს სხვა კომპანიას, მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაშიც და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგაც, და ადასტურებს, რომ დამკვეთის ან/და მისი უფლებამოსილი პირების მიერ საპროექტო დოკუმენტაციაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება/კორექტირება ჩაითვლება საავტორო უფლებების დაცვით განხორციელებულ ცვლილებად. ასევე შემსრულებელი აძლევს ნებართავს სრულყოფილად მოახდინოს აღნიშნული „პროექტ(ებ)ის" რეალიზაცია/განხორციელება. შემსრულებელი დამკვეთს გადასცემს პროექტ(ებ)ის გამრავლების, გავრცელების, საჯარო ჩვენების, გადაკეთების და რეალიზაციის უფლებას.

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში, წერილობით თუ ზეპირსიტყვიერად მათ შორის ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტის სახით დაადასტუროს საკუთარი თანხმობა აღნიშნულ პროექტ(ებ)ში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით, დამკვეთის მხრიდან დამატებით ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 11. კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.2. მხარეები ყოველივეს იღონებენ, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა ან/და წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთშემათანხმებელი პროცედურებით.

11.3. თუ მხარეები ვერ მოაწესრიგებენ მათ შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას ან/და წინააღმდეგობას, მაშინ ასეთი დავა ან/და წინააღმდეგობა უნდა გადაეცეს შესაბამისი იურისდიქციის მქონე საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 12. სხვა დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება და დამატება ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაფორმებულია წერილობით სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

12.3. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

12.4. მხარეებს შორის ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ხელშეკრულების მე-13 მუხლში მითითებულ მისამართზე დაზღვეული წერილით/კურიერით (ჩაბარებულად ითვლება ჩაბარების დადასტურების თარიღიდან) ან ჩაბარდეს პირადად. რეკვიზიტების/მისამართების ცვლილების შემთხვევაში (მათ შორის, მხარეთა მომსახურე ბანკის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში), მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების შესახებ წერილობითი ფორმით და გადასცენ ახალი რეკვიზიტები.

12.5. მხარეთა შეთანხმებით კორესპონდენცია ასევე შეიძლება გაიგზავნოს ხელშეკრულების მე-13 მუხლში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე გაგზავნილი კორესპონდენცია ითვლება ოფიციალურად მიღებულად ადრესატის მიერ მისი მიღების დასტურის შემთხვევაში და აქვს მატერიალურ მატარებელზე არსებული დოკუმენტის იურიდიული ძალა.

12.6. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და მისი ყველა პუნქტი წარმოადგენს მხარეთა ნების გამოვლენას, რომლიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

12.7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ამიტომ მიიჩნევა ბათილად, აღნიშნული არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას და ხელშეკრულება მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

12.8. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციასა და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

12.9. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტის გაცვლა განხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების დასკანერებული ტექსტი მიიჩნევა იურიდიულად ნამდვილ და მხარისადმი მბოჭავი ძალის მქონე ხელშეკრულებად, რაც შეიძლება აღსრულდეს მასში მითითებული მხარეების მიმართ მასში (ხელშეკრულებაში) მითითებული პირობების მიხედვით. აღნიშნული პუნქტი წარმოადგენს მხარეთა კონსენსუსს, რომელიც ემყარება გონივრული განსჯის შედეგად გამოვლენილ თავისუფალ ნებას და რომლის სადავოდ გახდომაზეც მხარეები წინასწარ აცხადებენ უარს.

12.10. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებას ხელს აწერენ ნებაყოფლობით და გააზრებული აქვთ ხელშეკრულების ყველა პირობა, შინაარსი და დებულება.

12.11. შემსრულებელს არ აქვს ხელშეკრულების, ან მისი რომელიმე ნაწილის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე უფლების, სარგებლის, ვალდებულების, დამკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე სხვა პირისთვის გადაცემის უფლება.

12.12. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარმნიშვნელოვანი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

13. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი
შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"	**შპს „არსი"**
ს/კ 404851503	**ს/კ 426523791**
მის: ქ.თბილისი, ვაჟა–ფშაველას N70	მის: საქართველო, გარდაბანი, ს. დიდი ლილო
ელ. ფოსტა: info@igdevelopment.ge	ელ. ფოსტა: temo_arsoshvili@yahoo.com
m.guchua@igdevelopment.ge	
დირექტორი: ლევან მესხელი	დირექტორი: თეიმურაზ არსოშვილი

დამკვეთი _____

შემსრულებელი _____

დამკვეთი _____



შემსრულებელი _____